# საექსპერტო შეფასება

*ანგარიშზე „ქ. თბილისი, ვარკეთილი III მასივი, მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ ბლოკის) მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.19.20.020.080) საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.*

შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2019 წლის სექტემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ვარკეთილი III მასივი, მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ ბლოკის) მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.020.080) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

**შემოწმების მიზანი:** დადგინდეს ქ. თბილისში, ვარკეთილი III მასივი, მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ ბლოკის) მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.020.080) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2019 წლის აგვისტო-სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი ნ. ილაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევები.

*საექსპერტოდ წარმოდგენილია:*

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 10 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი კლდოვანი გრუნტების გამოკვლევაზე---------- 1 გვ.
4. ცხრილი თიხური გრუნტების გამოკვლევაზე---------- 1 გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით----- 3 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 14 სართულიანი, საცხოვრებელი სახლი, სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, თითოეული 15.0 მეტრი სიგრძის. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტების თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, თაბაშირიანი, ნახევრადმყარი კონსიტენციის;
3. ფენა 3 – კენჭნაროვანი გრუნტი, ქვიშნარის 20%-მდე შემავსებლით;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანები – ფიქლებრივი თიხები, ქვიშაქვების შუაშრეებით, გათიხებული;
5. ფენა 5 – ძირითადი ქანები – ფიქლებრივი თიხები, თიხოვანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეებით.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული თიხნარების საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება. მოცემულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები. თიხნარების ხილული სიმძლავრე, როგორც ანგარიშიდან ჩანს პირველი ფენის შემთხვევაში არის 2.3 მეტრი. ხასიათდებიან ნახევრადმყარი კონსისტენციით. შემდეგი ფენა 2.2-3.1 მეტრი სიმძლავრის კენჭნარებით არის წარმოდგენილი. შემავსებელი ამ შემთხვევაში წარმოდგენილია ქვიშნარით 30%-მდე. ფენა 4 – უკვე ძირითადი ქანებია, ქვედა მიოცენის მაიკოპის წყების. ისინი წარმოდგენილნი არიან ფიქლობრივი თიხებით ($P_3+N_1^/$) ქვიშაქვების თხელი შრეების მორიგეობით. მათი ზედა ნაწილი გათიხებულია, 6-7 მეტრის სიმძლავრით. ძირითადი ქანების წოლის ელემენტებია: მიმართების აზიმუტი ს.დ. $240^0$, ხოლო დახრის კუთხე $20\text{-}25^0$.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 5.0-6.8 მ. სიღრმეზე. დამყარებული დონე 4.5-5.8 მ. წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტზე დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ვარკეთილი III მასივი, მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ბ“ ბლოკის) მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.20.020.080) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჯოხონელიძე/

**საქართველოს რესპუბლიკა**

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

პირადი ხელმოწერა

N° ღ 0266413

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა.

თანამდებობის პირის ხელმოწერა

| | |
|---|---|
| გვარი, სახელი, მამის სახელი | ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე |
| ბინის ტელეფონის ნომერი | ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25<br>ტელ.: 2-22-00-44 |
| დაბადების თარიღი | 1928 წლის 16 თებერვალი |
| განათლება | 1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა,<br>1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუ სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით,<br>1972 წელს დავამთავრე ოგივე ინსტიტუტი,<br>ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. |
| მინიჭებული კვალიფიკაცია | 1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი)<br>1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი)<br>2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი |
| საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება | 1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი;<br>1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;<br>1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტ გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულე ხელმძღვანელი |
| გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები | გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფი<br>„საქართველოს ლიოსისებური გრუნტები“ (1976წ) და<br>„ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები“ (1988 წ.)<br>შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს<br>ინგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავი სობუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობე<br>გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობას დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე.<br>მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე.<br>ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა:<br>„გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები“ 2005 წ. და<br>„ საინჟინრო ნაგებობები“ (2012 წ.).<br>ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ.<br>„შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები“. |
| უცხო ენების ცოდნა | ქართული - მშობლიური;<br>რუსული - კარგად;<br>ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით |

# ДИПЛОМ
## ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва, 28 ноября 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Сохиашвили Гуре Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

# დიპლომი

წარჩინებით

**№ 737129**

ამის წარმომდგენი ამხ. [illegible]

[illegible]

19 ... წ. შევიდა და 1950 წ. დაამთავრა ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სრული კურსი „სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა"

სპეციალობით და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1950 წ. 25 ივნისის გადაწყვეტილებით მას მიეკუთვნა ინჟინერ-მშენებლის ........ კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მ. ა.

მდივანი

ქალაქი თბილისი 195[illegible] წ.

რეგისტრაციის № 6133

Грузинский кз.